

# ფეხბურთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 აპრილიდან  
№ 183 (13480) ფასი 80 თეთრი

## გაუგარჯოს მიხეილ მესხს!



### რას იზიარებს უეფა? რას იზიარებს, ეს ცალკე ამბავია ლაზიკებს კი ვაღლოვა - გაგვიგას

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მოედნის საფრის ბოლო ნაჭერი დაიგო და ორთვიანი სამუშაო დასრულდა - ვაკის არენა ახლებურად „აჯეჯილდა“, თუმცა სტადიონზე კვლავაც გრძელდება მართლაც საფუძვლიანი და მასშტაბური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ფედერაციამ გაითვალისწინა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას სურვილი და თხოვნით მიმართა უეფას - ვინაიდან ეროვნული სტადიონის მინდვრის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, უფლებამოგვეცით, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლატვიელებს 2 სექტემბერს „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლოს.

უეფას თანხმობის შემთხვევაში ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები მოედნებს გაცვლიან: 1-ელ სექტემბერს ახალგაზრდები ესპანელებს „ბორის პაიჭაძეზე“ მიიღებენ, ეროვნული კი ლატვიას ვაკეში დაუხვდება.

ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას თქმით, არენის შეცვლაზე ლატვიელთა თანხმობა უკვე მიღებულია, ახლა ჯერი უეფაზეა, რომლის ნარმომადგენლები მალე ადგილზევე, „მიხეილ მესხზე“ შეამომხებენ და შეაფასებენ ვითარებას. სიჭინავას აზრით, უეფასგან დადებითი პასუხის შანსი 80/20-ზეა.

მერაბ მამულაშვილი

### შინ ჩაგვიჯდა ნილში



კოკოზკოვი  
გაბრაზდა  
**75:82**


ესპონეთთანაც აკ...  
12

ეროვნული  
გინეტი

3-4

	შინ ჯორჯია-ლილა		06.08. მცხეთა-არმაზი	17:30
	მეტალურგი-კოლხეთი		07.08. რუსთავი, ფოთლადი	17:30
	გაბრა-მარტვილი		07.08. თბილისი, მირანი (ჯაბაძე)	17:30
	ლინამო-სპარტაკი		07.08. თბილისი, ბასა (ბაქაშვილი)	17:30
	ბაია-სიონი		07.08. ზაგვიდი, 8. თუთარია	17:30
	ტორკედო-ზესტაფონი		07.08. ქუთაისი, ბორჯომი	21:00

საბავშვო  
ფეხბურთის  
ფედერაცია



კვირული ფაქტები

ევროპის ლიგა. კლბი ოფი



ფორბუნა მარბო ნაკრებს პრემიას

ამ სუსტს ვერ შეხვდებით, მთავარი, დიდ სახელეოს ავტორით

„სტოკი“, „ალკმარა“, „სპარტა“, „ზალცბურგი“, „სევილია“, „შალკე“, „რენი“, „აუსტრია“, „ბრაგა“, „სტანდარდი“ – ნინასნარ ჯგუფებად დახარისხების შემდეგ პირველი ხუთი „ზესტაფონის“ სავარაუდო მეტოქე იყო, მეორე ხუთეული – „დინამოსი“.

ასე რომ, უკმაყოფილების საბაზი არ უნდა გექონდეს და წარმოუდგენლად სულაც არ გვეჩვენება „ზესტაფონმა“ „ბრიუგეს“, „დინამომ“ კი აეკ-ის ბარიერი რომ გადალახონ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს ამოცანა არცთუ იოლად განსახორციელებელია.

გუშინ საღამოს ისიც გაიკვია, რომ „ზესტაფონი“ პირველ მატიჩს შინ, უფრო ზუსტად, ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებს, „დინამო“ კი ჯერ ათენში ითამაშებს.

Table with 2 columns: Team Name and Points. Lists various football clubs and their current points in the league.

მეტოქეები

გრიუბა დაარსდა 1891 წელს ფერები: ლურჯი, შავი სტადიონი: იან ბრეიდელი (ტევადობა 29 042) პრეზიდენტი: ბარტ ვერპაევე მთავარი მწვრთნელი: ადრი კოსტერი (პოლანდია) ტიტულები: ბელგიის 13-გზის ჩემპიონი (ბოლოს 2005-ში), ბელგიის თასის 10-გზის მფლობელი (ბოლოს 2007-ში), ბელგიის სუპერთასის 13-გზის მფლობელი (ბოლოს 2005-ში) სხვა მიღწევები: ჩემპიონთა თასის ფინალისტი (1978), უეფას თასის ფინალისტი (1976)

Table with 3 columns: Rank, Club Name, Points. Lists clubs and their points in the league.

პირველი, რას გვასვენებთ: ქაშპია

ძარბაზითა და ბერძნულ ენაზე მსაჯულნი

დაარსდა: 1924 წელს ფერები: ყვითელი, შავი სტადიონი: ათენის ოლიმპიური (ტევადობა 69318) პრეზიდენტი: სტავროს ადამიდილი მთავარი მწვრთნელი: მანოლო ხიმენესი (ესპანეთი) ტიტულები: საბერძნეთის 11-გზის ჩემპიონი (ბოლოს 1994-ში), საბერძნეთის თასის 14-გზის მფლობელი (ბოლოს 2011-ში), საბერძნეთის სუპერთასის 3-გზის მფლობელი (ბოლოს 1996-ში) სხვა მიღწევები: უეფას თასის ნახევარფინალისტი (1977), ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალისტი (1969), თასების მფლობელთა თასის ორგზის მეოთხედფინალისტი (1997, 1998)

Table with 3 columns: Rank, Club Name, Points. Lists clubs and their points in the league.

დიდი ისტორიის ახალგაზრდულ მხრებზე

„ბრიუგე“ ყოველთვის იყო ბელგიური ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი და ევროპაშიც არასდროს ყოფილა ხელნაწისა კრავი, რაზეც ევროტურნირების ორ ფინალში გასვლაც მონაბო, თუმცა ბოლო ექვსი წელია, ჩემპიონი აღარ გამხდარა. ევროპის ლიგის საგზური კი ჩემპიონატში დაკავებული მეოთხე ადგილით მოიპოვა. ჩემპიონ „ანდერლესტს“ „ბრიუგე“ მთელი 12 ქულით ჩამორჩა. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი 16 გოლით ხორვატი ივან პერიშიჩი გახდა, რომელიც უკვე დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელია.



შარშან „ზესტაფონის“ მეტოქე ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე მივიდა, მაგრამ იქ თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა, ექვს მატიჩში სამი ნაგო, სამც ფრედ დაასრულა და „ვილიარუალთან“, პოკ-სა და ზაგრების „დინამოსთან“ ჭიდილში ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა.


წლებადნულ ევროპის ლიგაში „ბრიუგე“ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთო და გიორგი ადამიას „ყარაბასს“ აჯობა – აზერბაიჯანელები შინ 4:1 გაანადგურა, სტუმრად კი 0:1 ნაგო.

თუ შემადგენლობას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ „ბრიუგე“ ახალგაზრდული გუნდია, რომელშიც ცნობილი ფეხბურთელი არცთუ ბევრია. მეგვილია გამოვარჩიოთ ჰოლანდიელი რაიან დონკი („ალკმარში“) შოთა არველაძის თანაგუნდელი იყო და ისრაელის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ლიორ რაფაელოვი, რომელმაც „ბრიუგეს“ ლადო დვალისვილის „მაქაბიდან“ მიაშურა.

ბელგიის ახალი ჩემპიონი „ბრიუგე“ ეფექტურად დაინყო – საკუთარ მოედანზე „გესტერლო“ 5:0 გაანადგურა.

Table with 3 columns: Rank, Club Name, Points. Lists clubs and their points in the league.

პირველი ასოციაცია, რაც ქართველ გულშემატკივრებში ათენის აეკ-მა შეიძლება გამოიწვიოს, თემურ ქეცბაიას უკავშირდება. საქართველოს ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი ხომ ამ კლუბის ლირსებას სა-სეზონის განმავლობაში (1994-97 წლებში) იცავდა და მასთან ერთად ორჯერ საბერძნეთის თასი, ერთხელ კი სუპერთასი მოიგო.



აუცილებლად უნდა გავისხევოთ აეკ-ისა და ქუთაისის „ტორპედოს“ დაპირისპირებაც. ათენელები და ქუთათურები ერთმანეთს 1999 წელს უეფას თასზე გადაყარნენ და თუკი „ტორპედო“ შინ მხოლოდ 0:1 დამარცხდა, საპასუხო მატიჩში 1:3 განადგურდა. „დინამოს“ მეტოქეს 47 წლის ესპანელი მანოლო ხიმენესი წვრთნის, რომელსაც სამი წელიწადი „სევილიასთვის“ უთავკაცია. ასე რომ, ალექს გარსიას საკმაოდ გამოცდილ თანამემამულესთან მოუწევს დაპირისპირება.

აეკ-მა გასული სეზონი საბერძნეთის თასის მოპოვებით დაასრულა, ჩემპიონატში კი მესამე ადგილზე გავიდა. რასაკვირველია, ხიმენესის გუნდი ბერძნული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია, მაგრამ „ოლიმპიაკოსსა“ და „პანათინაიკოსთან“ ტოლ-სწორად ბრძოლა მაინც უჭირს.

წლებადნული ევროპის ლიგის პლეი ოფში ათენელები პირდაპირ დაუშვეს, შარშანდელი გათამაშება კი აეკ-მა ჯგუფურ ეტაპზე დაასრულა, სადაც „ზენიტსა“ და „ანდერლესტს“ ჩამორჩა და მხოლოდ სპლიტის „ჰაილუკს“ გაასწრო.

აეკ-ის ყველაზე ცნობილი ფიგურა, ცხადია, ევროპის 2004 წლის ჩემპიონი ტრაიანოს დელასია, დიდი ძალა ახალწვეული ეიდურ გუდონსენი, გუნდის ლიდერი კი კაპიტანი პანტელის კაფესია, რომელიც ნინაზაზელისთვის უჩვეულო 1-ნომრიანი მისაღობის თამაშობს.

გვირდომიანებას ლევან ჰანაზაშვილი

დაფუძნდა 1924 წელს და გამოცემულია შავ-ბაგრადავლო ლალო გამოცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. 1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან). პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge მისამართი: იოსებძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: lelo1td@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07 რედაქციასთან ვებ-გვერდზე გაზეთის კოორდინაციის და ურთიერთსახელმძღვანელო და ურთიერთსახელმძღვანელო და ურთიერთსახელმძღვანელო და ურთიერთსახელმძღვანელო





ქოხნიანი პილდები

ფრთხილად, ისტინდელად!

უიწრწნის ახალი სეზონის დაწყება მავიდაზე მუშტის დარტყმით სურს: ხვალ, „ქოხნიანი პილდები“ მანჩესტერ სიტისთვის ადგილის მიჩენას აპირებს. „იუნაიტედის“ 25 წლის თავდამსხმელი დარწმუნებულია, რომ „უემბლიზე“ დაწინაურებული მანჩესტერული დერბი სეზონის მზადებას ლოგიკურ და უმაღლეს ნერტილამდე მიყვანს. რუნი ამბობს:

„მანჩესტერულ დერბიზე უკეთეს მოტივაციას სეზონის მძლავრი აკორდით დაწყებისთვის ვერ ვიპოვებდი. მან საზღვრული შეკრებებსაც დამატებითი სტიმული შესძინა. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მზადებას „ქოხნიანი პილდის“ შეხვედრა მოჰყვებოდა - სეზონის მოსაწყენად არ დანებდებოდა - და ეს სხვა ძალას გვმატებდა. სხვათა შორის, ამასწინათ ტელევიზორი ჩავრთეთ და მოვისმინეთ როგორ თქვა ვილკინსონმა, შესაძლოა ყველა „ქოხნიანი პილდის“ ისტორიაში საუკეთესო მატჩის მოწმენი გახდეთ. მანამდე ამაზე არ მიფიქრია, არადა მართლა ასეა“.

მანჩესტერული დერბი ერთგვარი რეგანის ელემენტსაც მოიცავს: გასულ სეზონში, იმავე „უემბლიზე“, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალის „სიტის“ „იუნაიტედს“ იაია ტურეს ერთდერბი გოლის წყალობით 1:0 მოუგო და ფინალში გაიყვანა. ფინალში, ისტინდელს „სტოკ სიტის“ შეხვედა, რომელიც კვლავ ტურეს გოლით, კვლავ 1:0 დაამარცხეს და 35-წლიანი „დუმილის“ შემდეგ პირველი ტიტული მოიგეს. ამ წარმატებით გამხსენებულ რობერტო მანჩინი და მისი ფეხბურთელები ახლა „იუნაიტედისთვის“ პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულის წართმევას აპირებენ, ასე რომ, ხვალინდელი მატჩი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია - ბრძოლის წინ მოკრივეები ერთმანეთს თვალბეჭდვით ვიქტორ რომ უყურებენ, იმას ჰგავს.

რუნიისთვის ამკარაა, რომ „სიტი“, რომელმაც გასულ სეზონში მეორე ადგილზე გასული „ჩელსის“ ტოლი ქულები დააგროვა, წლეულს უფრო ძლიერი გუნდი იქნება. გასაკვირი არაფერია, ისტ-

ინდზე ხომ სერხიო აგუერო და გაულ კლიში გადავიდნენ. თუმცა, კონკურენტის გაძლიერებას „იუნაიტედი“ როდის შეუშინებია - რუნისა და მის თანაგუნდელებს თავიანთი გეგმები აქვთ. სწორედ ამის შესახებ ელაპარაკა ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი ჟურნალ FOURFOURTSO-ს.

„ფეხბურთელები, რომლებიც მათ დაიმატეს, რასაკვირველია ცნობილი ვარსკვლავები არიან, მაგრამ ჩვენ ამაზე ფიქრისთვის არ გვცალია. როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ხარ, საკუთარი მიზნები გაქვს და კარგად იცი რა უნდა გააკეთო. ყველაფერი ძალიან მარტივია: ჩვენ ამ სეზონში ვაპირებთ მოვიგოთ პრემიერლიგა, ჩემპიონთა ლიგა და ორივე ინგლისური თასი. რასაკვირველია, ყველა ჯილდოს მოგება ყოველთვის არ ხერხდება, მაგრამ გარწმუნებთ, „იუნაიტედი“ ყოველ წელს ახლად მხოლოდ ამისთვის იბრძვის. რასაკვირველია, ამას რომ ვამბობ, ისიც კარგად ვიცი, რომ სეზონი ჩემპიონობის იმედით დაიწყებენ „ჩელსი“, „არსენალი“, „მანჩესტერ სიტი“, „ლივერპული“ და შეიძლება „ტოტენჰემის“ კი. ერთი სიტყვით, სხვა არაფერი დაგვრჩენია, უნდა ვიმუშაოთ და მეტად და მეტად გავძლიერდეთ“.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ სასიხარულო ამბავია: დარწმუნებული ვარ, რომ მანჩინის მეთაურობით მუშაობის შემდეგ ვარჯიშსაც შეუდგა. შეგახსენებთ, რომ მოტლანდიელმა ფეხბურთელმა გასული სეზონის ბოლო ორი თვე მუცლის უცნობი ვირუსით დაავადების გამო გამოტოვა. სწორედამ შედეგად წონის დაკარგვა და გამოფიტვა მოიტანა. ექიმები ამბობდნენ, რომ უცნაურმა ვირუსმა ისინი საგონებელში ჩააგდო და 27 წლის ფეხბურთელის გამო გვარაინად აწვრილა. „იუნაიტედიდან“ გამოსული ხმების თანახმად სერ ალექს ფერგიუსონი ფლტჩერს კვირას არ ათამაშებს, თუმცა ერთ კვირაში, ვესტ ბრომვიჩთან“ საბრძოლველად ის, ალბათ, მზად იქნება. ფლტჩერის გამოჯანმრთელება „იუნაიტედისთვის“ ბევრს ნიშნავს, რადგან, მართალია სქოთი პირველი ხარისხის ვარსკვლავებს არ განეკუთვნება, მაგრამ პოლ სკოულზის ფეხბურთიდან ნასვლის შემდეგ მისი მნიშვნელობა გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ სკოულზის შემცვლელად ფერგიუსონს „ინტერსიგან“ 27 წლის ჰოლანდიელის, ვესლი სნიდერის მიწვევა უნდოდა, მაგრამ ჯერჯერობით ამ საქმიდან ხეირი არ ჩანს.



ნიუკასლი

გააზვიანებს საქმე

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მეპატრონე მაიკ ეშლიმ გადაწყვიტა თავის ფეხბურთელებს სოციალურ ქსელებში კლუბის შესახებ მოსაზრებების გამოთქმა აუკრძალოს. ეშლის იმედი აქვს, რომ ამ ხერხით მომავალში თავიდან აირიდებს ისეთ კონფლიქტებს, როგორც ბოლოხანს 28 წლის ნახევარმცველ ჯოი ბარტონთან მოუვიდა. მეპატრონის გადაწყვეტილება „ნიუკასლის“ თითოეულ მოთამაშეს წერილობითი სახით გადაეცა. შეგახსენებთ, რომ „ტვიტერში“ დანერგილი კრიტიკული შენიშვნების გამო „კაჭკაჭთა“ შეფეხმა ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს როგორც ბარტონს, ასევე 25 წლის ესპანელ ხოსე ენრიკეს, რომელიც შესაძლოა „ლივერპულმა“ იყიდოს.


ნიუკასლელთა მწვრთნელი ალან პერდიუ ერთი მხრივ აღშფოთებული იყო ბარტონის ტვიტერ-აქტიურობით, მეორე მხრივ კი ამ ფეხბურთელის დაკარგვა არ უნდა. ცნობილი გახდა, რომ ის „ტვიტერში“ არ ვახსენებთ, რადგან ინგლისში „ტვიტერი“ უფრო პოპულარულია გამკლავების საკითხებზე ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ ალექს ფერგიუსონს ელაპარაკა.

ლაღ გამართულად მოგავგარებთ. ბოლოს და ბოლოს ეს კონტრაქტის ერთ-ერთი პირობის დარღვევაა“.

ჯოი ბარტონის „ნიუკასლ იუნაიტედი“ დარჩენა-არდარჩენის საქმე ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ის „კაჭკაჭთა“ ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და... „ტვიტერში“ აქტიურობას არ უშვებს.



არსენალი



ფაბრეგასის აშბაპი

„არსენალის“ მთავარი მენეჯერი, ამერიკელი სტენ კრონეი ამ დღეებში ლონდონში გახლდათ, რათა ბოლოს და ბოლოს გუნდის კაპიტნის, 24 წლის ესპანელი ვარსკვლავის, სესკ ფაბრეგასის დარჩენა-არ დარჩენის საქმე მოეგვარებინა. უფრო სწორად, კრონეი ინგლისის დედაქალაქში „მეთოფეთა“ კლუბის წევრების ყოველწლიურ შეკრებაზე იყო ჩასული, მაგრამ გადაწყვიტა ბარემ, კლუბისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხისთვისაც მიეხედა. როგორც გაზეთებისთვის გახდა ცნობილი, ამერიკელმა ფაბრეგასის საკითხს ხანგრძლივი თათბირი მიუძღვნა, რომელშიც სხვებთან ერთად აღმასრულებელი მენეჯერი ივან გაზილისიც მონაწილეობდა. თათბირზე განიხილებოდა „ბარსელონას“ ბოლო შემთავაზება - 35 მილიონი ფუნტი, რომლიდანაც 5 მილიონი კონტრაქტთან დაკავშირებულ „და სხვა“ ხარჯებში გაიფანტება. სხვა სიტყვებით, „არსენალს“ ამ თანხიდან, რეალურად, ჯიბეში, 30 მილიონი ფუნტი დარჩება. ცნობისათვის: 35 მილიონი ფუნტი 40 მილიონ ევროზე ოდნავ მეტია.

საც „ბარსელონაში“ თამაში უნდა, თუმცა ყველაფერი ორ კლუბს შორის მოლაპარაკებაზე იქნება დამოკიდებული“.

ინგლისური მასმედია წერს, რომ კრონეის ლონდონში ჩასვლა იმას ნიშნავს, რომ ბიზნესმენს, ისევე, როგორც მწვრთნელ არსენ ვენგერს ძალიან მოეზრდა „ბარსელონასა“ და თავად ფეხბურთელთან დაუსრულებელი ჭიდაობა და გრძნობს, რომ ფაბრეგასის ამბავი გუნდს მომზადებაში ხელს უშლის. ამბობენ, რომ ფაბრეგასი ახლა „მეთოფეთებთან“ ერთად პორტუგალიაში გამგზავრება, სადაც, ამ ზაფხულში პირველად ჩაივამს ჯერ კიდევ თავისი გუნდის, „არსენალის“ მაისურას — ლაპარაკია „ბენფიკასთან“ ამხანაგურ შეხვედრაზე. ამასობაში კი კრონეისა და „ბარსელონას“ ამბავიც გაიკვება.

აღრე ვერდით, რომ ამ დღეებში „არსენალს“ სეზონის წინ ოფიციალური გუნდური ფოტო უნდა გადაეღო, მაგრამ ამერიკელი მეპატრონის ლონდონში ჩასვლამ და ზემოთ აღწერილმა ამბებმა „მეთოფეთებს“ ფოტოს გადაღებაც კი გადაადგილბინა. გაურკვეველი იყო, უნდა დამდგარიყო თანაგუნდელებთან ერთად, „მირიეტ სთედლიუმის“ ტრიბუნის ფონზე ფაბრეგასი თუ არა. სამაგიეროდ, „სქიპი“ სპორტისთვის“ გუნდმა მინც ჩაატარა ფოტო-ვიდეო სესია, ოლონდ, შენობაში. ამ სესიაში სესკი მონაწილეობდა.

ახლა, რაც შეეხება „მეთოფეთა“ სხვა ამბებს: 20 წლის ნახევარმცველმა არონ რემსიმ უკვე ფარჯინა გუნდთან ერთად, ასე რომ, შიში, თითქოს ის პრემიერლიგის პირველ შეხვედრას გამოტოვებს, შემცირდა. „არსენალი“ პრემიერლიგის ახალკლუბის „ნიუკასლთან“ შეხვედრით ინწყებს. რემსის გამოჯანმრთელების ამბავი ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელ არსენ ვენგერისთვის ფრიად სასიამოვნო იყო, რადგან ბოლოხანს დამავებულთა რიცხვითა იმატა. კერძოდ, 24 წლის სამირ ნასრი კოჭის ტკივილის მიზეზით არ ვარჯიშობდა. ეს ჯექ უილმირისა და თეო უოლკოტის პრობლემებს დაემატა. თუმცა, ვენგერი მინც ინარჩუნებს ოპტიმიზმს და ამბობს:

„ახლა დროა მთელი ყურადღება საქმეზე მოვიკრიბოთ და საკუთარი ძალები ვირწმუნოთ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ „არსენალი“ ძალ-ლომეს არ დაიშურებს, რათა ექვსწლიან პერიოდს, რომლის განმავლობაში ერთი ტიტულიც კი ვერ მოვიპოვეთ, ბოლო მოედოს. მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, კარგ გუნდს ვაყალიბებ. არ მშობრდება შეგარძნება, რომ გასულ წელსინდს წარმატებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. იმედი მაქვს, წლეულს მიზანს მივაღწევთ“.









გერმანია. ბუნდესლიგა. ტურის წინ

ბუნდესლიგა უთვალავი ინტრიგით იწყება

ბაიერნი გაზაფხული გოლების დათვლა აღარ უნდათ, ვერდერნი კითხვის ნიშნავს...

Table with match schedules: ღელს, ვერდერნი-ჰაიფერსლავიანი, ბაიერნი-ჰოფენჰაიმი, ბაიერნი-ჰოლსტატი, ბაიერნი-ჰერტა, ბაიერნი-ჰერტა, ბაიერნი-ჰერტა, ბაიერნი-ჰერტა.

ლოდნელად, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლა და ბოლოს მხოლოდ ვერდერის ლიგის საგზურს დასჯერდა...

დღეს მარკას ათამაშებს, ამ უკანასკნელს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მუხრისძეების შანსი მიეცემა.

მგელმა თხა თუ პირიქით?

გერმანიის თასის პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა „ვოლფსბურგი“ (2:3) „რაზენ ბალშორტ ლაიპციგთან“...

რომ სენგალელმა გასულ სეზონში 22 გოლი გაიტანა და ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა.

კოვის და ჰერტას დაბრუნება

„აუგსბურგთან“ ერთად, ელიტაში „ჰერტა“ გადმოვიდა და ბერლინურ კლუბს ჩვენებური ლევან კობიაშვილიც გადმოჰყვა...

ზიურლე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

„მაინცი“ შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა და გმირი იყო, ეს სეზონი კი თომას ტუსხელის გუნდისთვის არცისე სახარბიელოდ დაიწყო...

კლასიკა მიუხედავად

პირველი ტური ხვალ ბუნდესლიგის კლასიკით, მიუნხენის „ბაიერნისა“ და მიუნხენგლადბახის „ბორუსიას“ მატჩით დასრულდება...

პარასკევის მატჩი



კვირ გროსკროიტცმა დუბლი შეასრულა

ჩეხეთის სტარტი

ბორუსია და (4-2-3-1): ვიდეოფლერი - პიჩეტი, პუმელი, ფელიქს სანტანა, ლოვე (75. პერიში) - ს. ბენდერი, გონდოვანი - გოტცე (75. ბლაშიკოვსკი), კაგავა (90. კელი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი...

ბუნდესლიგის ახალი სეზონი გუშინ, ტრადიციულად მოქმედმა ჩემპიონმა გახსნა: დორტმუნდის „ბორუსიამ“ „ჰამბურგს“ უმასპინძლა.

დღეს და ხვალ კი პირველი ტურის დანარჩენი მატჩები გაიმართება და ჩვენც შეგვიძლია, ხელეობი მოვიფიქვინოთ და მოინატრებულ ბუნდესლიგას ჩავუხსნათ.

რის მაქნისია ვერდერი?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი სეზონის წინ ყველაზე გაურკვეველ მდგომარეობაში „ვერდერი“ ბრემენული კლუბი ერთადერთია მთელ ლიგაში, სადაც ზუსტად არაფერია იცის, რისთვის უნდა იბრძოდნენ ამ სეზონში...

ასე რომ, „ვერდერის“ ფეხბურთელებმა ქომაგებს დღეს, „კაიზერსლაუტერნთან“ გამარჯვებით უნდა მოუბოდიშონ. ბრემენული გუნდისთვის პირველივე ტურში სამი ქულის აღება საველდებულოა, რადგან მეტოქე ჰყავს ისეთი, რომელიც ამ სეზონში ასევე გადარჩენისთვის იბრძოდეს და ერთი სიტყვით, „ლაუტერნთან“ მატჩი ბრემენელთათვის ერთგვარი ინდიკატორი იქნება...

...და ჰანოვერი?

წინა სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა „ჰანოვერი“ გახლდათ. მირკო სლომკას გუნდმა ყველა სათამაშოს მოუ-

გტუტგარტს დაცვაში უჭირს

მთლად „ვერდერის“ დარ მდგომარეობაში არაა, მაგრამ კითხვის ნიშნები „შტუტგარტშიც“ ბევრია. წესით, შეაბებს შარშანაც მაღალი მიხნებისთვის უნდა ებრძოდნენ, მაგრამ საქმეები ცუდად ნაუვიდა და პირველ ბუნდესლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნეს, ამხეც მაღლობები იყვნენ. მთავარმა მწვრთნელმა ბრუნო ლაბადიამ ბევრი იბრომა თუ ცოტა, რაღაც-რადაცები ნაღდად გამოვიდა, მაგრამ დაცვაში პრობლემები მაინც შემორჩა. საქმე იმაშია, რომ „შტუტგარტს“ „შალკესთან“ მატჩის წინ დელაპიერის, ბიჩაქჩინისა და ნიდერმაიერის სახით სამი ნამყვანი უკანახული აკლია. ლაბადია სიხარულით ცას ენია, როცა გაიგო, რომ სერდარ ტასკიმ მაინც მოასწრო გამოჯანმრთელება - ამ უკანასკნელს დღეს მოედანზე გასვლა შეუძლია. ტასკიმ „შალკეს“ წინახაზელები ახალწვეულ მასასთან ერთად უნდა შეაჩეროს. მასას და ტასკის კი ისეთი თავდასხმელების შეჩერება მოუწევთ, როგორებიც არიან კლას-იან ჰუნტელარი, რაული და ჯეფერსონ ფარფანი. სხვათა შორის, „შალკემ“ რუმინელი ფორვარდი ჩიპრიან მარიკა აიყვანა, რომელიც სწორედ „შტუტგარტიდან“ გააგდეს და თუ გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი რალფ რანგნიკი

აუზსუბრის დეპიუტი

დღეს ნაშუადღევს, ბუნდესლიგაში პირველ მატჩს ჩაატარებს „აუგსბურგი“ - გუნდი, სადაც წარმოშობით ქართველი ნახევარმცველი აკაკი გოგია თამაშობს ბუნდესლიგის ისტორიაში 51-ჯერ. „ფრაიბურგთან“ სადებიუტო და შესაბამისად, ისტორიულად მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ, „აუგსბურგი“ დაძაბული მდგომარეობაა, რადგან მწვრთნელმა და ბოსემმა ერთობლივი გადაწყვეტილებით, FCA-ს მთავარი თავდასხმელი მიხაელ თურკი გუნდიდან მოკვეთეს, ეს უკანასკნელი კი სასამართლოში ჩივილს აპირებს. უკეთესი ვითარება არც აუგსბურგელთა მეტოქეს აქვს: „ფრაიბურგმა“ გერმანიის თასის პირველ ეტაპზე „უნტერჰაინგთან“ სამარცხვირო მარცხი იხვინა (2:3), რითაც „ფრაის“ ახალ თავაკაცს, „ლევერკუზენში“ გადაბარებული რობინ დუტის მემცვლელ მარკუს ზორგს დეპიუტი ჩაუწმარდა. ბრაისგაუელთა ბანაკში ერთადერთი კარგი ინფორმაცია: ბომბარდირი პაპის დემა სისე გამოჯანმრთელდა და დღეს მოედანზე გასვლა შეუძლია. შეგახსენებთ,



ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკსმა დაცვის ხაზი სხვებთან ერთად, ჟერომ ბოატენგითაც გააძლიერა


ინტერი

ჯორჯ კონფლიატი უარყო

იტალიური სპორტული გაზეთები ნალეკა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ სა-მუელ ეტოსა და ჯანაიერო გასპერინის შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა და არ არის გამორიცხული, კამერუნელმა სხვა გუნდში გადასვლის გადაწყვეტილება მიიღოს. „გაძეცა დელო სპორტის“ ცნობით, გასპერინი ეტოს გარემარბის პოზიციაზე გამწესებას უპირებს, კამერუნელს კი, როგორც ყოველთვის, ცენტროფორვარდობა ურჩევნია. შეგახსენებთ, რომ ეტო თავდასხმელის პოზიციაზე ლეონარდო გადაიყვანა და შედეგად, გასულ სეზონში ორ ათეულზე მეტი გოლი გაიტანა. გასპერინისთან მომხდარ კონფლიქტს აფრიკელი უარყოფს: „გასპერინისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და კონფლიქტი კი არა, შელაპარაკება რაა, ისიც არ მოგვსვლია - ახალ მთავარ მწვრთნელს შესანიშნავად შეეწყვე და დიდი იმედი მაქვს, რომ ერთად კიდევ დიდხანს მოგვინვეს მუშაობა. რატომ დაიბრა ეს ხმები? - ალბათ იმიტომ, რომ ერთ-ერთ ვარჯიშზე ურუნალისიტების თანდასწრებით გუნდის ტაქტიკურ სქემას მწვრთნელთან ერთად ვარჩევდი და საკმაოდ ემოციურად ვსაუბრობდი. როგორც ჩანს, მედიის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ჩვენი შორის გაუგებრობა მოხდა და კონფლიქტი წარმოიშვა. მიკვირს, რადგან ჩვენ ყველა სათამაშოს გასაგებ ენაზე, იტალიურად ვსაუბრობდით.“

გოტფრიდ ლანცი

ლაპა ნიკლაური



ქართული სპორტი

მსოფლიო უნივერსიადა



სპორტის სამინისტროს პრესასამსახურის ფოტო

სტუდენტ სპორტსმენებს გზა დაუღოხვას

ჩინეთის ქალაქ შენჯენში 12 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება ზაფხულის 26-ე მსოფლიო უნივერსიადა...

ავალიანი, დავით კარბელაშვილი, ბეთქელ ნავერიანი, არჩილ სალინაძე (ყველა-ძიუდო), დავით ჭელიძე (მშვილდოსნობა), მერაბ ქინიძე (მძლეოსნობა)...

„ოლიმპიური თამაშების შემდეგ მსოფლიო უნივერსიადა ყველაზე მასობრივი და საინტერესო სპორტული ღონისძიებაა, რომელიც ძალგს ცდიან უძლიერესი ათლეტები...“

ქილაობა


ჭაბუკთა საეპროპო განახსნალი



საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებმა დაასახელებს შემადგენლობები...

ბენ, დანარჩენები - მეორე დღეს. 11-12 აგვისტო გოგობს დაეთმობათ, 13-14-ში კი ბერძენ-რომაელები იჭიდავენ...

ძიუდო



გოგობის გუნდის გაიკვამ

11-14 აპრილში ქივი ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირში საქართველოდან გოგობის გუნდიც გამოვა...

ბერძნულ-რომაული სტილის ქართული

თურქმანიის ბიზლიოთეკა პოლონური ვერსიის

პოლონურ რადიოში გუშინ დაწყებულ ვლადისლავ პეტლიასისკის მემორიალში ჩვენმა ნაკრებმა ერთი მედალი მოიპოვა - არჩილ თურმანიძე (66) მეორეზე გავიდა...

უას კი ავობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის მეხვედრა რუს იური დენისოვთან დათმო. მაჭარაშვილმაც ბლომად ქულები აგროვა...



გერმანელ რიკარდო მელცთან, მაგრამ ბულგარელ ივან ივანოვთან დამარცხდა. ამ ნონაში რევან ჭელიძე პირველივე შესვედრიდან გააგრა...

შაქითხვა „ლელოს“

შაქითხვა: გატაცებული ვარ მთამსვლელობით. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან შევიტყვევ, ქართველებსაც დაულაშქრავთ ევერესტი...



პასუხი: საქართველოს მთამსვლელთაგან ჯომოლუნგმაზე ასევე პირველად სცადა თბილისელმა აკაკი (ხუტა) ხერგიანმა...

ბათუ სანაპლიძე თბილისი, სტუდენტი

მან მწვერვალი დაიპყრო 1991 წლის 10 ოქტომბერს, სანქტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში. ამავე ექსპედიციაში გაერთიანდნენ ყაზახეთის, უკრაინისა და აშშ-ის მთამსვლელები...





კალათბურთი

საქართველოს ნაკრები

მკ, ესპონეთთან... კოკოშკოვიც კი გააბრაზეს



მკრძინ ჩემპიონატისთვის ავსტრიაში ვემზადებით. უფრო მეტ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას უთმობთ. ბურთით ცოტას ვვარჯიშობთ, - განაცხადა გიორგი ცინცაძემ ესტონეთში 75:82 ნაგებული მატჩის შემდეგ.

ამ კომენტარის მიხედვით იოლია ნაგების მიზეზის დასახელება - ქართველები ჯერ სათანადო კონდიციებში არ არიან, ისინი ოპტიმალურ ფორმას, სავარაუდოდ, ევროპის ჩემპიონატისთვის მიაღწევენ. ესტონელებს კი B დივიზიონის მატჩები 18 აგვისტოს ეწყებათ და სადღესოდ ჩვენს გუნდზე უკეთეს კონდიციებში არიან.

ქართველებს ბურთთან ესტონელებზე ნაკლები შეხება რომ აქვთ, ეს სტატისტიკაშიც დადასტურდა: 46-დან მხოლოდ 19 ორქულიანი ჩაგდეს, მაშინ როცა მეტოქემ 29-დან 14 ორიანი გამოიყენა. მეტსაც გეყვით - ესტონეთმა პერიმეტრიდან უფრო ზუსტად ისროლა, ვიდრე ახლო მანძილიდან: 26-დან 13 სამქულიანის რეალიზება მოახერხა.

გავიმეორებთ - 13 სამიანი! ქართველთა ნაგების მეორე მიზეზი სწორედ ეს იყო. როცა მეტოქეს ამდენი შორეული ტყორცის გამოყენების უფლებას აძლევ, იმ მატჩში გამარჯვებას არ იმსახურებ. ეს დაცვითი კომპონენტი იგორ კოკოშკოვის გუნდს გამოსასწორებელი აქვს. მით უმეტეს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა მეტოქეებს (სლოვენია, ბელგია, რუსეთი...) ესტონელებზე უკეთესი უკანახაზელები ჰყავთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის სხვა გზა არ ჰქონდა: შედარებით ტანდაბალი შემადგენლობა ჰყავდა და ფონს გასვლას სამქულიანებით ცდილობდა. როგორც დავინახეთ, გავიდა კიდევ: საპირისპიროდ, ქართველთა პლუსი ფარქვეშ დამაჯერებელი თამაში უნდა გამხდარიყო. მოხსენებში მეტოქეს მოვუვით კიდევ (36:32), მაგრამ ესტონელებს სამწამინა ზონაში იმდენად ვერ ვავლობთ, რამდენადაც მათ პერიმეტრზე გვაჯობებს. ასე რომ, ფარქვეშ თამაშიც მისახედა.

მას შემდეგ, რაც ნაკრების თავკაცად იგორ კოკოშკოვი დაინიშნა, ამხანაგური

მატჩების ნაგებას მივეჩვიეთ. მწვრთნელის მისამართით უკმაყოფილების ხმა მაღლა გამოთქმას კი ოფიციალურ მატჩებში შედეგიანი თამაში უდგას წინ. შესაძლოა, მწვრთნელი გუნდის პოტენციალს ერთგვარად ნაგებებით ნიღბავს. თუმცა, თუ ასეა, ერთ ნინაღმდეგობას ვანწყებთ: საკონტროლო შეხვედრებში კოკოშკოვი ძირითადად 9-10 კალათბურთელს ეყრდნობა, ლიდერებს საკმარისად ტვირთავს და დებიუტანტებს თავის გამოჩენის საშუალებას არ აძლევს. არადა, სწორედ ამხანაგურ მატჩებში უნდა დაინახოს, რა ღირებულება აქვთ ლაშა ფარდალავას, ლევან ფაცაცას, მიხეილ ბერიშვილსა და გიორგი შარაბიძეს ეროვნული ნაკრებისთვის. ეს კალათბურთელები გუშინდელი მატჩის განაცხადში ვერ მოხვდნენ. ნიკა მეტრეველი განაცხადში იყო და არ უთამაშია. არ იყო კოტე ტულუშიც, რომელსაც დავით უსტიაშვილის მსგავსად მწვრთნელისთვის განკუთვნილი მაისუ-

რა ეცვა. როგორც თავად კოტემ გვითხრა, იგი ნაკრებს მწვრთნელის რანგში დაეხმარება.

ამ თემას საინტერესო ნიუანსით განვავრდობთ: მესამე პერიოდის ბოლოს იგორ კოკოშკოვი მსაჯებზე გაბრაზდა და მათგან გაძევება დაიმსახურა. ტელეეკრანიდანაც ჩანდა, რომ არბიტრები რამდენიმე ეპიზოდში შეცდნენ, მაგრამ მწვრთნელს მინც თავის შეკავება მართებდა. საინტერესო კი ის იყო, რომ კოკოშკოვის მოედნიდან გასვლის შემდეგ პირველივე წუთშესვენებისას გუნდს ჯეისონ სტაუდტი ხელმძღვანელობდა. მას საკალათბურთო ცოდნა არ დაენუნება, მაგრამ გვეგონა, კოკოშკოვის საქმეს დავით უსტიაშვილი შეასრულებდა. იგი ყოველ წუთს მზად უნდა იყოს ეროვნულ ნაკრებში მნიშვნელოვანი ფუნქციის შესასრულებლად.

გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის მოვიტოვეთ. ავსტრიასთან ორი მატჩის ხილვის საშუალება არ გვქონდა, ამიტომ ძნელი სათქმელია, როგორ გაისარჯა ახალწვეული მარკუს ჰეინსი. მესამე მატჩში მან ქართველ ქომაგს თავი აშკარად მოაწონა - ფიზიკურად კარგად გამოიყურება, ფარქვეშაც ეფექტურად შედის და სამქულიანების სროლაც ეხერხება: მეორე პერიოდში მარკუსმა ორ სამიანს ერთი საჯარიმო მიამატა და ქართველები 10 ქულით დაანინაურა. იგი 25 წლისაა, საკალათბურთო თვალსაზრისით ახალგაზრდაა და ძალიან გვაინტერესებდა, გადამწყვეტ მომენტში თუ შეძლებდა იმავეს გამეორებას, რაც მეორე პერიოდში გააკეთა. მართალია თამაში ვერ შემოატრიალა, მაგრამ ერთი სამქულიანიც ჩააგდო და ფარქვეშაც ბევრი იმრომა. იმედი დავიტოვოთ, რომ ჰეინსი 31 აგვისტომდე ნაკრებს კიდევ უფრო შეეწყობა და უკეთეს ფორმასაც მიაღწევს.

7 აპრილი 2011
ბალინი, ესპონეთი
ესპონეთი-საქართველო 82:75
18:19, 19:24, 29:15, 16:17

Table with 10 columns: Player Name, Points, 2pt, 3pt, 1st, 2nd, 3rd, 4th, 5th, 6th. Rows include players like Tsereteli, Shalvashvili, etc.

Table with 3 columns: I პერიოდი, II პერიოდი, III პერიოდი, IV პერიოდი. Rows show time and score for both teams.

ნატურალიზებული ამერიკელი ძირითადად მსროლელის პოზიციაზე თამაშობდა. გამთამაშებლად გიორგი ცინცაძე ირჯებოდა, რომლისთვისაც „ტალინის“ არენა უცხო არ არის - „ტარტუ როკის“ მაისურით „კალევის“ წინა-



აღმდეგ არაერთი მატჩი ჩაუტარებია. მას ძალიან სურდა ესტონელთა ძლევა, კარგადაც ირჯებოდა, სირენამდე 1:44 წუთით ადრე სხვაობა ქულამდე შეამცირა (73:74), მაგრამ როგორც ვთქვით, ესტონეთმა გვაჯობა.

სატრანსფეროსიხსლვა



გაითი უნდა გაიაროს

Table with 2 columns: Year, Team. Rows include 2003-05 სან დიეგო (NCAA), 2005-07 ტრირი (გერმანია), etc.

ბრენდონ გაი - ესაა პირველი მერცხალი ლეგიონერთაგან, რომლებიც ევროჩემპიონატზე ქართულ კლუბებს დაეხმარებიან. ბრენდონი საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ ღირსებას დაცავს.

ამის შესახებ იწყება გუნდის ოფიციალური საიტი www.sokhumibc.com. ევროსარბიელზე მოთამაშე გუნდები „არმია“ და „სოხუმი“ არაერთი ძლიერი ლეგიონერის ჩამოყვანას აპირებენ. ყველაზე ადრე ხელშეკრულება ბრენდონთან გაფორმდა. გაიმ და „სოხუმის“ პრეზიდენტმა მინდია გულუამ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის მიხედვით ბრენდონი „სოხუმის“ რიგებში 2011-12 წლების სეზონში იასპარეზებს. კლუბის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი აინარს პავაცისი თვლიან, რომ ასეთი გამოცდილების მქონე კალათბურთელი მნიშვნელოვნად გააძლიერებს „სოხუმის“ თამაშს როგორც ევროსარბიელზე, ასევე საქართველოს სუპერლიგის გათამაშებაში. ევროჩემპიონატზე სოხუმელები საკვალიფიკაციო ეტაპ-

ზე „მინსკს“ დაუპირისპირდებიან. პირველი მატჩი თბილისში 4 ოქტომბერს გაიმართება, განმეორებითი - 11 ოქტომბერს. ბრენდონ გაი 29 წლისაა. 2003 წლიდან 2005-მდე თამაშობდა ამერიკის უნივერსიტეტების საკალათბურთო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში (NCAA). 2005 წლიდან კი ევროპაში, გადავიდა და ჯერ გერმანიის ბუნდესლიგაში, ხოლო 2007 წლიდან ბელგიის ჩემპიონატში ასპარეზობდა. 2010-2011 წლების სეზონში ის თორნიკე შენგელიასთან ერთად თამაშობდა ბელგიური „პეპინსტერის“ ღირსებას იცავდა და მალალო შედეგებიც ჰქონდა: 31 მატჩში საშუალოდ 10,9 ქულას, 6,4 მოხსნას, 1,1 პასსა და 1,2 ჩაჭრას ავსრულებდა. გპერდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა





სახორცილო სპორტი

კალათბურთი. ახალი ამბავი

პარსკვლავები ფიქრობენ



სანამ ლოკაუტთან დაკავშირებული სიტუაცია არ გაირკვევა, "დალას მავერიქსის" ლიდერი დირკ ნოვიცი არ აპირებს რომელიმე უცხოურ კლუბში თამაშს.

"მონანილოვას მივიღებ ვეროპის ჩემპიონატში და შემდეგ შევფასებ სიტუაციას. მანამდე არსად წასვლას არ ვაპირებ", - ამბობს გერმანელი ვარსკვლავი.

ამასობაში, რამდენიმე წყაროს ცნობით დუეინ უეიდს თვეში ორ მილიონს სთავაზობს ჩინური კლუბი "გუანგჯოუ".

ამასთან, "მაიამის" ერთ-ერთი ლიდერი არ ჩქარობს ოფიციალური განცხადების გაკეთებას: "ჯერჯერობით მოლაპარაკებების დასრულებამდე შორია. მხოლოდ ახლა დავიწყებთ ძირითადი მომენტების განხილვას. დრო გვიჩვენებს, როგორ დასრულდება ყველაფერი".

თურქული "ბეშიქთაში" კი დანებებას არ აპირებს და ისევ ცდილობს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერის კობი ბრაიანტის გადაბირებას. ამერიკული პრესის ცნობით, დღეს შედგება კობისა და მისი აგენტის რობ პელინიკის შეხვედრა "ბეშიქთაშის" პრეზიდენტ ილდირიმ დემირენთან. უნდა განიხილონ ვარსკვლავ მცველთან სავარაუდო კონტრაქტის დეტალები.

თუმცა ამერიკელი ჟურნალისტები იმასაც ვარაუდობენ, რომ კობიმ უკვე დაკარგა ინტერესი "ბეშიქთაშის" მიმართ და კარიერის ჩინეთში გაგრძელების ვარიანტებს განიხილავს.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ სამშობლოში დაბრუნდება "ნიუ ორლეან პორნეტისის" იტალიელი მცველი მარკო ბელინელი. მოთამაშესთან დაახლოებული წყაროს ცნობით, მარკო ერთნაირი კონტრაქტის დეტალები შეათანხმებდა სიენას "მონტეპასკისთან".

სავარაუდოდ, თვეში ბელინიელს ხელფასი 100 ათასი ევრო იქნება.

თურქული კალათბურთის მთავარი ვარსკვლავი ჰედო თურქოგლუ ბელინიელს მსგავსად ასევე სამშობლოში აპირებს თამაშს. ამის შესახებ თურქული გაზეთი Milliyet იტყობინება.

გამოცემის ინფორმაციით, "ორლანდოს" მცველმა უკვე მიანლია ზუპირ შეთანხმებას "უფესთან", კონტრაქტი კი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გაფორმდება.

შეგახსენებთ, "უფესმა" უკვე გაიფორმა NBA-ის ორი კალათბურთელი - მილუნი "პორტლენდთან" და ილიასოვა "მილუოკთან".

ქრიშინალები


"მინესოტა ტიმბერვუდსის" ერთ-ერთმა ლიდერმა მაიკლ ბიზლიმ ნიუ იორკში სტრიტბოლის საჩვენებელი შეხვედრის დროს ჩხუბი აუტეხა ერთ-ერთ გულშემამტკივარს. იმ შეხვედრაში ბიზლის გარდა მონანილოვამ მიიღო "ოკლაჰომა სიტის" ვარსკვლავმა კევინ დურანტმა. მატჩი ბიზლის გუნდის გამარჯვებით დასრულდა - 80:77.

თამაშის დროს მინესოტელს კონფლიქტი ჰქონდა ფანებთან. კერძოდ, მან ხმამაღლა იყვირა: "სწორედ ამისთვის მიხდებიან ფულს!"

როგორც CBS Sports იუწყება, კალათბურთელი ერთ-ერთ გულშემამტკივარს, ვინმე გარლანდ ქუინსს წაეჩხუბა. ქუინსის თქმით, ბიზლიმ მას სახეში ჰკრა ხელი და უკან გადაადგო.

22 წლის მაიკლი 2008 წელს "მაიამიმ" დრაფტზე მეორე ნომრად აირჩია და ორი წლის შემდეგ ტრეიდიტ "მინესოტაში" გაემგზავრა. 2010-11 წლების სეზონში ბიზლიმ "მგლებს" რიგებში 73 მატჩი ჩატარა და საშუალოდ 19.2 ქულა დააგროვა.


"პორტლენდის" ყოფილ ფორვარდს დარიუს მილზს კანონთან პრობლემები აქვს. კალათბურთელი პოლიციამ მამონ დააკავა, როცა ის თვითმფრინავში ცეცხლსასროლი იარაღის



შეტანას ცდილობდა. ინციდენტი სენტ ლუისის აეროპორტში მოხდა. თანაც, როგორც ირკვევა, იარაღი დატყეული იყო.

მაილზი 2000 წლის დრაფტის მესამე ნომერი იყო და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მისი კარიერა ჭირვეული ხასიათის გამო არ აენციო.

ფორმულა 1



21 ბრანარი იქნება?

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა ბერნი ექსტოუნმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში რბოლების რაოდენობამ შესაძლოა, ოცს გადააჭარბოს. შარშან კალენდრის წინასწარ ვერსიაში 21 ეტაპი იყო შეტანილი, მაგრამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან ტოდტმა გუნდებთან შეთანხმების შემდეგ ერთი რბოლის ამოღების გადაწყვეტილება მიიღო.

ექსტოუნს მიაჩნია, რომ გუნდები შეიძლება დათანხმდნენ ერთი ზედმეტი რბოლის ჩატარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ ჩემპიონატმა დაკარგოს მონაკოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის პოპულარული ეტაპი. "შესაძლებელია 21 ბრანარის ჩატარება. თუ ჩვენ ვიტყვი, რომ შეიძლება მონაკო დაკარგოს, ისინი ამას არ დაეთანხმებიან და დათმობაზე წავლენ", - ამბობს ექსტოუნს Daily Express-თან კომენტარში.

ამბავი

მკვლევარა

მორხუბრაბი დაინდეს

საზრნაბატიის მძლეოსნობის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დაინდო საშუალო დისტანციაზე მორხუბრაბი - მეჭიბვე და მაპიკინი მეჭიბვე-ბენაბადა. მათ მონაკოში "ბრილიანტის ლიგის" წინა ეტაპზე, 1500 მეტრზე გარბენის შემდეგ პირდაპირ სარბენ ბილიკზე გამართეს მუშტუ-კრივი. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მძლეოსნებს არ მისცემდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებას.

მაგრამ მორხუბრაბს არ მოუწევთ ტეგუში გასამართი პირველობის გამოტოვება. ისინი მხოლოდ ფულადი ჯარიმითა და საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოებით დასაჯეს.

შორბ-ბრაქი

ჩხუბისთავი ნაკრებიდან გააგდეს

შორბ-ტრამპში ჩინეთის ქალთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვან მენი ეროვნული გუნდიდან გარიცხეს. ასეთი სასჯელი მიიღო მან სანჯონელი მეჭიბვის მთვრალ მდგომარეობაში ჩხუბის ნაშრომების გამო.

26 წლის სპორტსმენმა, რომელიც ოთხჯერ ოლიმპიური და მსოფლიოს 14-ჯერ ჩემპიონია, ოთხ თანაგუნდელთან ერთად ივლისში მიიღო ჩხუბში მონაწილეობა. სწორედ იმ დროს ვან მენმა შუშის ნატეხზე ხელი გაიჭრა და რამდენიმე ნაკერი დაადეს.

პელუსორტი

კეპენდის გუნდი აღარ უყავს

ველსაპინიზმ "პაიროული", რომელიც მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერი მარკ კეპენდის გამოდის, ამ სეზონის დასრულების შემდეგ შეწყვეტს არსებობას. გუნდის მენეჯერმა ბობ სტერტონმა განაცხადა, რომ ჩაიშალა მოლაპარაკება ახალ პოტენციურ სპონსორთან და დღეისთვის შექმნილ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი გუნდის ლიკვიდაციაა.

რაც შეეხება საჯინბოს ლიდერ მარკ კეპენდის, მან ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ უკვე იპოვა ახალი გუნდი, რომელიც კარიერას გააგრძელებს, მაგრამ თავი შეიკავა მისი დასახელებისგან.

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

საშუალოდ ფინიში

სანჯონის სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატმა ოლიმპიადის წინა სპორტული სეზონის პირველ მესამედს დაუსვა წერტილი. ასე რომ, საშუალოდ ფინიში შესაძლებელია წამყვანი სპორტული ქვეყნების მზადყოფნის შემოწმება.

მაშ ასე, ლონდონის ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე უკვე გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, სინქრონულ ცურვაში, BMX-ში (ველოსპორტის ნარსახეობა), მშვიდდონობაში, ველოტრეკში, ტაეკვანდოში, მაგიდის ჩოგბურთში, პლაჟის ფრენბურთში, წყალბურთში, მამაკაცთა ხელბურთსა და ქალთა ფეხბურთში.

თუ ამ სახეობაში მოპოვებული მედლებით ვიმსჯელებთ, ჩინეთის ნაკრები კვლავაც რჩება საგაისო ოლიმპიადებზე გუნ-

დური ჩათვლის ერთ-ერთ მთავარ ფოკუსირებად, ხოლო მისი უმთავრესი მეტოქე, რა თქმა უნდა, აშშ-ის ოლიმპიური გუნდი იქნება. დანარჩენები შესამჩნევად ჩამორჩებიან ლიდერებს, განსაკუთრებით რუსეთის ნაკრები, რომელიც მხოლოდ მეცხრე ადგილზე და სერიოზული საფრთხე ემუქრება იმისა, რომ პირველად თავისი არსებობის ისტორიაში ზაფხულის თამაშების საერთო ჩათვლაში პირველი სამეულის მიღმა აღმოჩნდება. ასევე უცნაურია, რომ პირველ ათეულში ვერ ვხვდებით გერმანიას.

ჩინეთის ნაკრებს 42 მედალი აქვს, აქედან 17 ოქროსი. ორივე მაჩვენებელი საუკეთესოა. რაც ყველაზე მთავარია, ჩინელებმა ისწავლეს საჭირო დროს საჭირო ადგილას უმაღლესი შედეგების ჩვენება. მაგალითად, ტაეკვანდოში მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ქვეყნის გუნდმა ოქროს ორი მედალი მოიგო და ორივე ოლიმპიურ დისციპლინაში. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უბრალოდ დამთხვევა იყოს.

ამერიკის ნაკრებს 31 მედალი აქვს, საიდანაც 15 ოქროსია. მესამეზეა აგსტრალია - 19 მედალი (8 ოქრო), მეოთხე - საფრანგეთი - 16 (7). მხოლოდ მეხუთე პოზიციაზე იმყოფება ოლიმპიადის მომავალი მასპინძელი - ბრიტანეთის ნაკრები. ბრიტანელები ვალდებული იყვნენ ამ საშუალოდ ფინიში სამეულში დაემკვიდრებინათ ადგილი, მაგრამ სრული კრახი განიცადეს თავიანთ საყვარელ სახეობაში - ველოტრეკში. ბრიტანეთს ლონდონში მესამე ადგილი აქვს დაგეგმილი, ასე რომ ქვეყნის ველოტრეკის ნაკრები ზედიზედ მეორე ჩაგარდნას, ალბათ, არ დაუშვებს, რაც კონკურენტებისთვის კარგი ამბავი არ უნდა იყოს.

მანამდე კი ვნახოთ, ამ ეტაპისთვის როგორ გამოიყურება წამყვანი სპორტული ქვეყნების პირველი ათეული:

Table with 6 columns: ქვეყანა, BMX, ველოტრეკი, საფრანგეთი, ხელბურთი (ა), კრბ პონი

Table with 6 columns: ქვეყანა, შარბ (ა), შარბ, პლაჟბურთი, წყ. ხტომა, სინ. ხტომა

Table with 5 columns: ქვეყანა, მშვიდდონობა, ბაიკინგი, ფეხბურთი (ა), სულ




გერმანიის მონაწილეობა

მძლეოსნობა

მთავარი ღაელი ისევ გადიდო

„ბრილიანტის ლივის“ ორდღიან ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა 100 მეტრზე იამაიკელი სპრინტერების - ასაფა პაუელისა და უსაინ ბოლის დაპირისპირება უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, თანამედროვეობის ორი ყველაზე სწრაფი მორბენლის პაექრობას მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ ვიხილავთ, რომელიც 27 აგვისტოს სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში დაინიშნება.

შემიძლია, გამიჭირდა ამ გადამწყვეტილების მიღება და მინდა გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადო, - განაცხადა პაუელმა, რომელსაც ლონდონში მისი თანამემამულე იოჰან ბლეიკი შეცვლის. ამასთან, პაუელი დარწმუნებულია, რომ პლანეტის პირველობაზე მას წარმატება ელის. იამაიკელი აცხადებს, რომ 2005 წლის შემდეგ არ ყოფილა ასეთი კარგი ფორმაში.



ასაფა პაუელი

კრიკი მკვლელობა ავსტრალიაში

კრიკი ავსტრალიის ყოფილი ჩემპიონი ჯონ მარსეტა დანიშნულ მთავარ მწვანეებს შორის გადამარტყმის განზრახვასთან დაკავშირებით დაპატიმრდა. მარსეტა 2 აგვისტოს გარდაიცვალა, თუმცა ამ სამსუხარო ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლა გავრცელდა. მოკრივე 38 წლის იყო.

ნელს სცადა რინგზე დაბრუნება, მაგრამ მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ანტონიო მარგარიტოს შეუძლია მშვიდად მოემზადოს მიგელ კოტოსთან შესახვედრად.

როგორც მოგონებენ ტურნირები

WTA Mercury Insurance Open, ATP Bet-At-Home Cup, Legg Mason Tennis Classic, ATP World Tour Finals

III ნიჩა, II ნიჩა, III ნიჩა, III ნიჩა, III ნიჩა

სხელინაზი

Table with columns for categories like 'უხეხური', 'იხეხური', 'იხეხური' and various names with scores.

Table with columns for categories like 'უხეხური', 'იხეხური', 'იხეხური' and various names with scores.

Table with columns for categories like 'იხეხური', 'იხეხური', 'იხეხური' and various names with scores.

TV პროგრამა


Table listing TV programs with columns for time, channel, and program name.

Table listing TV programs with columns for time, channel, and program name.

Table listing TV programs with columns for time, channel, and program name.



როგორც



რაფაელ ნადალი

# ნადალი ნაკრებს უბრუნდება

**რაფაელ ნადალი** მზად არის დევისის თასის ნახევარფინალში სათამაშოდ. ესპანეთის ნაკრები ამ ეტაპზე საფრანგეთს ხვდება და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი აცხადებს, რომ მიწვევის შემთხვევაში აუცილებლად დაეხმარება მშობლიურ გუნდს.

როგორც იცით, ნადალმა წლებმდე გათამაშების პირველ ნრეში შარლერუაში ბელგიის წინააღმდეგ ითამაშა, მაგრამ დაღლილობის გამო გამოტოვა ამერიკასთან მეოთხედფინალი. სხვათა შორის, რაფა არც საფრანგეთთან აპირებდა თამაშს, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ჯანმრთელობის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა - ნადალს აღარ აწუხებს უიმბლდონზე მიღებული ტრავმა.

„ეს ნახევარფინალური ეტაპია, თან საფრანგეთს შინ ვეთამაშებთ. ძალიან საპასუხისმგებლო მომენტი დგას და თუ ჩვენი გუნდის კაპიტანი დამიძახებს, აუცილებლად ვითამაშებ“, - განაცხადა AS-თან კომენტარში ნადალმა.

ეს ნახევარფინალი კორდობაში 16-18 სექტემბერს გაიმართება. ესპანელები მეტოქე გრუნტის კორტს დაახვედრებენ. ამასობაში, **რაფაელ ნადალი** გუნდში ჩავიდა მონრეალში და პირველი ამერიკული მასტერსისთვის მზადება დაიწყო. „უკვე კანადაში ვართ, სასტუმროში დავბინავდით, შემდეგ კი ფრენის როგორც ერთად

ვარჯიში დავიწყეთ. მონრეალში მზინი ამინდია, სასიამოვნოა კორტზე ყოფნა“, - დაწერა „ტვიტერზე“ საკუთარ მიკრობლოგში მსოფლიოს მეორე ჩოგანმა.

ესპანელს კანადურ მასტერსებზე ორჯერ აქვს გამარჯვება მოპოვებული. 2005 წელს მან ლეგენდარულ ამერიკელს **ანდრე აგასის** მოუგო ფინალში, სამი წლის შემდეგ კი გერმანელი **ნიკოლას კიფერი** დაამარცხა. შარშან ნადალმა ნახევარფინალში გააღწია, სადაც პრიტანელ **ენდი მიურეისთან** ორ სეტში ნააგო - 3:6, 4:6.

ამერიკული ჩოგბურთის ყოფილი ლიდერის **ენდი როდის** პრობლემებს ბოლო არ უჩანს. ჩოგბურთელს კვლავ აწუხებს ძველი ტრავმა, რის გამოც მან მონრეალის მასტერსიდან განაცხადი გამოიტანა. ეს ტურნირი მომავალ კვირას დაიწყება. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე როდის ვამინგტონის ტურნირიდანაც მოიხსნა.

ასევე ცნობილია, რომ კანადურ მასტერსზე არ გამოვლენ შედეგი **რობინ სიოდერლინგი**, ავსტრელი **იურგენ მელცერი**, ესპანელი **გილერმო გარსია-ლოპესი** და ბელგიელი **ქსავიე მალისე**.

სხვათა შორის, როდისმა შარშანაც გამოტოვა კანადური ტურნირი.

კვირის ბოლოს



ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

როგორც

# სეზონის ეკვატორზე (II ნაწილი)

**დღეს** დავასრულებთ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაში (ATP) მიმდინარე სეზონის ეკვატორზე დაფიქსირებულ საშუალოდ სტატისტიკურ მონაცემთა შეფასებას. პირველ ნაწილში **ლაპარაკი იყო მონოდებაზე**, დღეს კი ATP-ის ვებგვერდი განიხილავს მონოდების მიღებასთან დაკავშირებულ სათამაშო კომპონენტებს. დღეს მიღებაზე წარმატებული თამაში ხშირად მატჩების მოგების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახლავთ.

## პირველი მოწოდების მიღებისას მოგებული ბურთები

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია რა ძალის მონოდება გააჩნია მეტოქეს. ძალიან კარგად დაშვებული მიღებაც კი არ იმოქმედებს ორმეტრიანი ოპონენტის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ეისის შესრულება პრობლემას არ წარმოადგენს. პირველ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეაქცია და ბურთის გრძნობა, გრუნტზე მონოდების მოგერიება უფრო ადვილია და ამიტომაც ვხვდებით აქ ხანგრძლივ გათამაშებებს. ბალახის საფარზე დიდად ყურადღების გამახვილება არ ღირს, რადგან ბალახზე სეზონი ძალიან მოკლეა და სტატისტიკაზე დიდ გავლენას არ ახდენს.

პირველი მონოდების მიღების ლიდერია **ენდი მიურეი (37%)**. კვლევის პირველ ნაწილში დავრწმუნდით, რომ ბრიტანელს არცთუ ისე სახარბიელოდ აქვს საქმე საკუთარი მონოდების დროს და ის ამ ნაკლს მიღებაზე კარგი თამაშით აბათილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ იქნებოდა ATP-ის რეიტინგის მეოთხე ნომერი. შემდეგ მოდიან როლან გაროსის მოულოდნელი მეოთხედფინალისტები - არგენტინელი **ხუან-იგნასიო ჩელა (36%)** და იტალიელი **ფაბიო ფონინი (36%)**, აგრეთვე გრუნტის კიდე ერთი სუპერსტარტი **ხუან მონაკო (36%)**. ფონინისა და მონაკოს მონოდების მხრივ სერიოზული პრობლემები აქვთ, ასე რომ, მთელი მათი თამაში მიღებაზეა აწყობილი.

მხოლოდ მეხუთე ადგილზე იმყოფება **რაფაელ ნადალი (35%)**. ჩვეულებრივ, ის სათავეში ედგა ამ სიას, მაგრამ ამ სეზონში საქმე მაინც და მაინც კარგად ვერ მიდის. მეორე მხრივ, პირველ ადგილს მას მხოლოდ ორი პროცენტით აშორებს. ნადალს უიმბლდონის შემდეგ დაენია **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. მათ ბევრით არ ჩამორჩება **როჯერ ფედერერი (34%)**.

საგულისხმოა, რომ სიის ბოლოში ვხვდებით ეისების მხრივ ლიდერებს - **მილოშ რაონიჩს (26%)**, **ფელისიანო ლოპესსა (25%)** და **ჯონ ისნერს (24%)**.

- 1. **ენდი მიურეი - 37%**
- 2. **ხუან-იგნასიო ჩელა - 36%**
- 3. **ფაბიო ფონინი - 36%**
- ...5. **რაფაელ ნადალი - 35%**
- ...6. **ნოვაკ ჯოკოვიჩი - 35%**
- ...9. **როჯერ ფედერერი - 34%**

## მეორე მოწოდების მიღებისას მოგებული ბურთები

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათამაშო კომპონენტი ჩოგბურთში. მეორე მონოდება - ყოველთვის მასწავლებს მიმდინარე ჩოგბურთელისთვის. ტურში მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ რეალურად სახიფათო მეორე მონოდება, უმრავლესობისთვის კი ეს არის უბრალოდ ბურთის საიმედოდ თამაშში შეყვანა, რომელიც მეტოქეს ბრძოლის გაჩაღების საშუალებას აძლევს.

სეზონში პირველი ადგილი ნადალს (58%) ეკუთვნის, მაგრამ მასთან თითქმის არაფერს აგებს **ჯოკოვიჩი (58%)** - სხვაობა მეთექვსმეტია. ATP-ის ექსპერტები ამ ანალიზის დროს ხშირად აღნიშნავენ, რომ რაფაელს ნელს ბევრი რამ არ გამოსდის, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მან როლან გაროსის მოგება შეძლო და თითქმის ყველა დიდი ტურნირის ფინალში ითამაშა. ბევრს მიანიჩა, რომ ესპანელის თამაში ოდნავ გა-

უფერულდა, მაგრამ მეორე მონოდების მიღების პროცენტზე ამას არ უმოქმედია. რაფა ამ კომპონენტში კვლავაც საუკეთესოა.

აღნიშნულ სიაში მესამე ადგილზეა **დავიდ ფერერი (57%)**, რომელმაც, როგორც ყოველთვის, წარმატებულად ჩაატარა გრუნტის სეზონი. მიურეის აქაც ყველაფერი წესრიგში აქვს, ფედერერი კი მხოლოდ მე-16 პოზიციაზე იმყოფება (51%). ნაწილობრივ ეს სტატისტიკა ხსნის კიდეც შვეიცარიელის ნარუმეტებლობებს მიმდინარე სეზონში.

- 1. **რაფაელ ნადალი - 58%**
- 2. **ნოვაკ ჯოკოვიჩი - 58%**
- 3. **დავიდ ფერერი - 57%**
- 4. **ენდი მიურეი - 56%**
- ...16. **როჯერ ფედერერი - 51%**

## ბრეიკ-პოინტების რაალიზაცია

ხედმეტია იმის ახსნა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მაჩვენებელი. ამ სიტუაციაში ბევრი რამ არის დამოკიდებული



ნოვაკ ჯოკოვიჩი

მონიწიანდმდეგეზე, რადგან პრაქტიკაში ყოველთვის არ არის შესაძლებელი მონოდების ან ძლიერი და სწრაფი შეტევის მოგერიება. მაგრამ თუ ბურთი უკვე თამაშშია და სიტუაცია ცენტრალურად თანაბარია, აქ უკვე ბევრ რამეს წყვეტს ოსტატობა და ფსიქოლოგიური მდგრადობა. ისეც ხდება, რომ გამოცდილ და ძლიერ ჩოგბურთელს ისეთი მონიწიანდმდეგე ხვდება, რომელიც 10-20 ბრეიკ-პოინტს იგერიებს და ამით მეტოქეს სტატისტიკას უფუჭებს.

პირველ ადგილზე საკმაოდ მოულოდნელად **ქსავიე მალისეს (50%)** ვხვდებით, არადა, ვერ ვიტყვით, რომ ბელგიელი წარმატებული სეზონს ატარებს. დღეისთვის ის 42-ე ადგილს იკავებს ATP-ის კლასიფიკაციაში. მეორეზე კი კვლავ **ჯოკოვიჩია (48%)**, რომლის გვერდით დგას **ნადალი (47%)**. მათი ყოფნა ამ სიაში გასაკვირი არ არის. ასევე კარგი რეალიზაცია აქვთ: **ფრანკ ფილ სიმონს (47%)**, **შვედ რობინ სიოდერლინგსა (46%)** და არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს (46%)**.

ფედერერი (39%) არც ისე წარმატებულია ამ საჩოგბურთო განყოფილებაში და მხოლოდ მე-40 ადგილზე იმყოფება. თავის საუკეთესო წლებში როჯერი უფრო აკურატულად თამაშობ-

და ბრეიკ-პოინტებზე, ახლა კი მისი მხრიდან სულ უფრო ხშირია გადაწყვეტი მომენტების ჩაგდება.

- 1. **ქსავიე მალისე - 50%**
- 2. **ნოვაკ ჯოკოვიჩი - 48%**
- 3. **რაფაელ ნადალი - 47%**
- ...9. **ენდი მიურეი - 46%**
- ...40. **როჯერ ფედერერი - 39%**

## მიღებაზე მოგებული ბურთები

პრაქტიკულად ეს კატეგორია წინა სამის ერთგვარი შეჯამებაა. საკმარისი არ არის უბრალოდ მონოდების მოგერიება, საჭიროა მნიშვნელოვანი გათამაშებების მოგება და ბრეიკ-პოინტების ბრეიკებში გარდასახვა. ნოვაკ ჯოკოვიჩი ნელს ამ კომპონენტში ამკარად ყველაზე ძლიერია - 39%. ამ პროცენტით ისე გამოდის, რომ სერბი ხუთიდან ორ გეიმში ბრეიკს აკეთებს.

ლოგიკურად, მეორე ადგილი ნადალს ეკუთვნის (36%), თუმცა ნოვაკთან სამი პროცენტით ჩამორჩენა სოლიდუ-

რი გახლავთ. რაფას თითქმის არ ჩამორჩებიან **ფერერი (36%)** და **მიურეი (36%)**. ფედერერი (27%) მეტოქის პირველ მონოდებაზე წარმატებული თამაშის წყალობით მე-12 პოზიციაზეა, მაგრამ მის წინ მოკრძალებული ჩოგბურთელები არიან: ესპანელი **პაბლო ანდუხარი (29%)**, სერბი ვიქტორ ტროიცი (29%) და ჩეხი ტომაშ ბერდიხი (29%).

- 1. **ნოვაკ ჯოკოვიჩი - 39%**
- 2. **რაფაელ ნადალი - 36%**
- 3. **დავიდ ფერერი - 36%**
- 4. **ენდი მიურეი - 36%**
- ...12. **როჯერ ფედერერი - 27%**

ყველა ეს მაჩვენებელი ხაზს უსვამს იმას, რომ ამ სეზონში ჯოკოვიჩის გარღვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა მიღებაზე თამაში. ამ კომპონენტში ნელს ის მართლაც ყველაზე ძლიერია, არადა, ჩვეულებრივ რაფაელ ნადალი ან დავიდ ნალბანდიანი გველენებოდნენ ლიდერებად, თუმცა არგენტინელი ნელს ძალიან ნარუმეტებულად თამაშობს. რაფაელი კი მიმდინარე სეზონში მეორეა მიღებაზე, ისევე როგორც კლასიფიკაციაში.

## გვერდი მოამზადება თქვალიაპიპილა

გვერდი მოამზადება თქვალიაპიპილა